საჯარო სამართლის იურიდიული პირი
კოლეჯი „მოდუსი"

ბრძანება № 138

რუსთავი

„24" 05 2022 წ.

"სსიპ კოლეჯ „მოდუსში" პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია"-ს დამტკიცების შესახებ" 2021 წლის 12 ნოემბრის #346 ბრძანებში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის და 63-ე მუხლის საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 6 მარტის #44/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ კოლეჯი „მოდუსის" წესდების მე-5 მუხლის „თ" პუნქტის შესაბამისად და ხარისხის მართვის მენეჯერის 2022 წლის 11 მაისის N475428 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით,

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება სსიპ კოლეჯი მოდუსის დირექტორის 2021 წლის 12 ნოემბრის N346 ბრძანების დანართში და ჩამოყალიბდეს დანართი #1 შესაბამისად;
2. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. დაევალოს ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების მენეჯერს უზრუნველყოს ბრძანების გადაგზავნა სასწავლო დარგში დირექტორის მოადგილისთვის, IT სპეციალისტისთვის, ხარისხის მართვის მენეჯერისთვის, იურისტისთვის;
4. დაევალოს IT სპეციალისტს უზრუნველყოს ბრძანების გამოქვეყნება კოლეჯის ინტერნეტ გვერდზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში რუსთავის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. რუსთავი, ბოსტანქალაქის ქ. #6)

ნინო ქავთარაძე

დირექტორი

დანართი N1

სსიპ კოლეჯ „მოდუსში“ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია

1. სსიპ კოლეჯ „მოდუსს“ სასწავლო პროცესის წარმართვისათვის საკუთრებაში აქვს შენობა ნაგებობა ფართით: სასწავლო კორპუსი /სასარგებლო ფართი/–4434.54კვ.მ და სასწავლო სახელოსნო /სასარგებლო ფართი/ - 2375,85კვ
2. კოლეჯს აქვს სამი ტიპის სასწავლო გარემო A,B,C,
3. დასაშვებია გარემოს სხვადასხვა მოდელი ერთ სივრცეშიც იქნას განთავსებული, მაგალითად, ერთ სივრცეში არსებობდეს ერთდროულად A და B ან B და C ან A და C გარემო.
4. A ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, თეორიული მეცადინეობების და ჯგუფური მუშაობისათვის, რომელიც არ საჭიროებს განსაკუთრებულ ტექნიკურ უზრუნველყოფას. ძირითადად აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით და საჭიროების შემთხვევაში დემონსტრირების საშუალებით;
5. A სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 50%-ით, რაც დაწესებულებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ორმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ოთხმაგი რაოდენობა.
6. B ტიპის სასწავლო გარემო - სასწავლო სივრცე შენობის შიგნით, კომპიუტერული ლაბორატორია „სასკოლო ტიპის“ განლაგებით, რომელიც აღჭურვილია პროგრამების მოთხოვნების შესაბამისი კომპიუტერებით, ქსელური პრინტერით და დემონსტრირების საშუალებით;
7. B სასწავლო გარემოში სტუდენტის წლიური 60 კრედიტიდან ითვისებს საშუალოდ 3 კრედიტს. შესაბამისად, B სასწავლო გარემო ერთ ცვლაში სწავლების შემთხვევაში დატვირთულია საშუალოდ 5%-ით, რაც დაწესებულებას საშუალებას აძლევს ერთ ცვლაში მიიღოს B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების ოცმაგი, ხოლო ორ ცვლაში მუშაობის გათვალისწინებით ორმოცმაგი რაოდენობა;
8. დაწესებულების პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს მე-5 და მე-7 პუნქტებით განსაზღვრულ რაოდენობებს შორის უმცირესს, გადაწყვეტილებას პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის მოთხოვნის შესახებ ამ მუხლით დადგენილი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ციფრის ფარგლებში იღებს დაწესებულება და ასახავს შესაბამის განაცხადში.
9. C ტიპის სასწავლო გარემო - სპეციფიკური სასწავლო გარემო შენობის შიგნით, სხვადასხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებისათვის. ნორმატივები დადგენილია ინდივიდუალურად მოდულების/სასწავლო კურსების შესაბამისად.
10. დასაშვებია სხვადასხვა პროგრამის მოდულის/სასწავლო კურსების განხორციელების მიზნებისათვის ერთიდაიმავე სივრცის გამოყენება თუ ის თავსებადია სასწავლო გარემოს და ტექნიკური აღჭურვილობის ნორმატივების თვალსაზრისით, კვირეული დატვირთვის გათვალისიწინებით, მაქსიმუმ ორ ცვლიანი მუშაობის რეჟიმში.

11. პრაქტიკული მოდულები ითვალისწინებენ სტუდენტის დატვირთვას პრაქტიკის ობიექტზე, რეალურ სამუშაო გარემოში, დაწესებულებას გაფორმებული აქვს პრაქტიკის ობიექტებთან შესაბამისი მემორანდუმები გრძელვადიან თანამშრომლობაზე და ხელშეკრულებები კონკრეტული ჯგუფებისთვის კონკრეტული მოდულების განხორციელების შესახებ;
12. 20 პროფესიულ სტუდენტზე დაწესებულებას ჰყავს მინიმუმ ერთი პროფესიული განათლების მასწავლებელი;
13. კონტიგენტის რაოდენობის გამნსაზღვრელ მეთოდოლოგიას თითოეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შეიმუშავებს დაწესებულება პროგრამის ხანგძლივობის, სასწავლო გარემოს, აღჭურვილობის, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, პრაქტიკის ობიექტებზე პროფესიულ სტუდენტთა ტევადობის და მასწავლებლების რაოდენობის შესაბამისად, რასაც წარუდგენს ავტორიზაციის ექსპერტებს, რომელთა დასკვნა განიხილება პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოზე და მისაღები კონტიგენტის რაოდენობის შესახებ გადაწყვეტილებას გამოსცემს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი.
14. კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მეთოდოლოგიაში გათვალისწინებული უნდა იყოს შემთხვევა, როდესაც ერთიდაიგივე გარემო რამდენიმე პროგრამისათვის გამოიყენება. ასეთ შემთხვევაში გარემოს დატვირთვის რესურსი უნდა გადანაწილდეს ყველა პროგრამაზე.